ო ქ მ ი N6

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი.

2022 წლის 12 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.ბექა ხარბედია

4.აკაკი ხურცილავა

5.აკაკი მალანია

6.ბადრი რიჟამაძე

7.ჯანსუღ ჯიშკარიანი

8.მოგელი ხუხია

9.გურიელ ქარდავა

10.მალხაზი იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 10 ოქტომბრის N-502228380 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი არც ერთი.

N6 +++

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 10 ოქტომბრის N502228380 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 10 ოქტომბრის N502228380 წერილი.

„ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ".

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან შემოვიდა წერილები შავღელის და ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული საექიმო ამბულატორიების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში მისი ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის" გადაცემის მიზნით.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" წერილი. „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის"- „სოფლის ექიმის" კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განმახორციელებლად 2022 წლის 1 მარტიდან განისაზღვრა ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი".

შესაბამისად, საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგმა განახორციელა სოფლის ამბულატორიული ქსელის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის ანალიზი საქართველოს ყველა რეგიონში. წერილში აღნიშნულია, რომ 1000 - ზე მეტი ამბულატორიის შეფასებამ აჩვენა, რომ ინფრასტრუქტურა ამორტიზებულია, შენობების უმრავლესობა სარემონტო და მოუწესრიგებელია. რის გამოც ვერ ხდება პაციენტებისთვის სათანადო სამედიცინო მომსახურების შესაბამისი სტანდარტის შეთავაზება, ხოლო სამედიცინო პერსონალისთვის სათანადო სამუშაო გარემოს შექმნა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში თუ მოხდება სოფლის ამბულატორიების გადმოცემა საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის ბალანსზე, აღნიშნული დადებითად იმოქმედებს „სოფლი ექიმის" პროგრამის განხორციელებაზე.

ზემო აღნიშნული წინადადების საფუძველზე, მერიის მხრიდან, მიზანშეწონილად ჩაითვალა მოთხოვნილი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ამბულატორიების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიის წევრებს მიმართა თხოვნით, გამოეთქვათ ამ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრება.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე: /ვლადიმერ ქანთარია/